საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-18/07

ქ. ბათუმი 22 იანვარი, 2020 წ.

ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 ოქტომბრის N01-02/153 ბრძანების, „ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 20 ნოემბრის N01-02/182 ბრძანების, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ალექსანდრე მითაიშვილისათვის შრომითი ურთიერთობის შეჩერებულად ცნობის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 10 იანვრის №01-12/14 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 იანვრის N01-02/01 ბრძანებისა და ბსუ რექტორის მოადგილის, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, თამარ სირაძის 2020 წლის 16 იანვრის მოხსენებითი ბარათის N39107, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის გოჩა სურგულაძის 2020 წლის 22 იანვრის N 59373 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020 წლის იანვარში ჩატარებული კონკურსის შედეგად, დაფინანსდეს ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ

გადაწყვეტილებების მიღების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი შემდეგი საგანმანათლებლო პროექტი:

ა)**„ეკონომიკური დებატები ბსუ 2020“** - პროექტის ავტორი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნესტან ვარშანიძე, პროექტის ბიუჯეტი: 5387 ლარი - 387ლარი თანადაფინანსება - **(დანართი N1)**;

ბ)**„QB ბიბლიოთეკა“** - პროექტის ავტორი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნინო ცინცაძე, პროექტის ბიუჯეტი: 1680 ლარი **(დანართი N2)**;

გ)**„მართვადი პროგრამირებადი მულტიფუნქციური ელექტრონული დაფა“** - პროექტის ავტორი: ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი თორნიკე ლასურიძე, პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი **(დანართი N3)**;

დ)**„გადააზრების კრიტიკული ზღვარი“** - პროექტის ავტორი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი არჩილ ბერიძე, პროექტის ბიუჯეტი: 4660 ლარი **(დანართი N4)**;

ე) **„პირველადი დახმარება ყველგან და ყველასთვის“** - პროექტის ავტორი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნინო გორგილაძე, ბიუჯეტი: 4400 ლარი **(დანართი N5)**;

ვ) **„თანამედროვე მასწავლებელი“** - პროექტის ავტორი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნინიკო კოსოლიძე, ბიუჯეტი: 5000 ლარი **(დანართი N6)**.

2. წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი აქტების წარმოდგენა, მატერიალური რესურსის გამოყენება, შეძენა და სხვა).
3. ამ ბრძანებით დამტკიცებული პროექტების ბიუჯეტის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (თამარ სირაძე).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ფაკულტეტებს (ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და ზუსტ მეცნეირებათა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტს) და პროექტების ხელმძღვანელებს (უზრუნველყოს ჩაბარება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა): ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ნესტან ვარშანიძეს, ზუსტ მეცნეირებათა და განათლების ფაკულტეტის, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ თორნიკე ლასურიძეს, ბსუ-ს

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ნინო ციცაძეს, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ არჩილ ბერიძეს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ნინო გორგილაძეს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ნინიკო კოსოლიძეს.

6. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ,
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გ. გვარიშვილი